საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის მოვალეობის
შემსრულებელს ბ-ნ თეიმურაზ მთივლიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

მოგასხენებთ, რომ შპს „ნახიდური ჰესი" (ს/კ 400207049) ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოფ. ნახიდურის მიმდებარედ მდ. ხრამზე გეგმავს 7.2 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ნახიდური ჰესი" ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას და ექსპლუატაციას. გამომუშავებული ელექტრო ენერგიის სახელმწიფო ელექტროსისტემაში ჩართვის მიზნით კომპანიას სამინისტროში წარმოდგენილი ჰქონდა სკრინინგის განაცხადი. სამინისტროს 2020 წლის 25 აგვისტოს N2-759 სკრინინგის გადაწყვეტილებით, საქმიანობა არ დაექვემდებარა გზშ-ის პროცედურას. ამ ეტაპზე კომპანია გეგმავს, აღნიშნულ პროექტში ცვლილების შეტანას, კერძოდ, საპროექტო საკაბელო/საჰაერო ეგხ-ის ნაცვლად, მოეწყობა მთლიანად საჰაერო ეგხ-ის ტრასა. ამასთან, შემცირდება ტრასის საერთო სიგრძე - 3.31კმ. -დან 2.65 კმ-მდე.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად „გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა".

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ საპროექტო ცვლილებების სკრინინგის ანგარიშს და გთხოვთ თქვენს გადაწვეტილებას.

წერილს თან ერთვის:

- ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 35 კვ-იანი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის ანგარიში - ელ. ვერსია;
- პირველადი და საპროექტო ცვლილებების Shp ფაილები.

პატივისცემით,

თენგიზ ალავიძე
შპს „ნახიდურიჰეს"-ის
დირექტორი

04.05.2022

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
04. 05. 2022
№ 1366